საქართველოს კანონი

„სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 2000 წელი, მუხ. 137) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{2}“ ქვეპუნქტი:

„ე^{2}) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური;“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^{8} მუხლი:

„მუხლი 5^{8}. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სპეციალური წოდებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი იურისტი, III კლასის იურისტი, II კლასის იურისტი, I კლასის იურისტი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდება – იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდება – იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონი №4266 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4900 – ვებგვერდი, 28.06.2019წ.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №4982 – ვებგვერდი, 23.09.2019წ.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

21 ივლისი 2018 წ.

N3290-რს